ახალი
# განთიადი

,,ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,

2017 წელი 30 აპრილი № 4 № 8121

განთიადი
85 წელია თქვენთან ერთად!

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com





თავისუფლების სიმძიმე
გვ3-4.




,,მამულო, სიცოცხლეო,,
გვ2.

ჰიბრიდული დემოკრატიული რეჟიმების გაკვეთილები
გვ3-4.

სოფელი ქვემო გომი გაზიფიცირდება
გვ2.

სააღდგომო საჩუქრები
გვ2.




წარღვნის შემდეგ რომ გაშენდა ვაზი
გვ7.

ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის დეკორატიული ღობე მოეწყობა
გვ3.



ყასპის ახალი უბნები
გვ6.

,,გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში,,
გვ5.



წიგნის საერთაშორისო დღე
გვ5.

წინ ფინალური ფურია
გვ5.

ახალი საკალათბურთო დარბაზი
გვ8.



სოხუმში, 40 წლის წინ
გვ8.

ხსოვნა გულისა
გვ6.

,,სხვილო,, – სანიმუშო საბავშვო სახალხო ანსამბლი
გვ9.

აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი
გვ9.

სპორტული კალეიდოსკოპი
გვ8.



ძმა ძმისთვისაო, ორივე ევროპისთვისაო...
გვ8.

17-ში 60 წელი შეუსრულ-დებოდა...
გვ8.

ამირანების ქვეყანაში...
გვ8.





# „მამულო, სიცოცხლეო"

9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება კასპის მუნიციპალიტეტში მერაბ კოსტავას სახელობის სკვერიდან დაიწყო, სადაც მისი ბიუსტი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს.

მამა გიორგიმ (ხოჯავა) 9 აპრილს დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი აღავლინა.

მსვლელობა საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის დაღუპულთა მემორიალთან დასრულდა

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებმა 9 აპრილისადმი მიძღვნილი მონტაჟი წარმოადგინეს, ნაჩვენები იქნა დოკუმენტალური ფილმი.



# კასპის მუნიციპალიტეტს კომპიუტერული ტექნიკა გადაეცა



იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო 2015 წლიდან ახორციელებს პროექტს - საჯარო სექტორის განვითარების ხელშეწყობა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე სერვისების ეფექტური მიწოდების გზით, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია - ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში.

პროექტის ფარგლებში პროგრამის კოორდინატორმა გიორგი ხაჩიძემ კასპის მუნიციპალიტეტს 10 კომპიუტერი და 7 პრინტერი გადასცა.

2015 წლიდან მუდმივად მიმდინარეობს მუნიციპალური ბიზნეს პროცესების შესწავლა და ახალი საპილოტე მუნიციპალიტეტების შერჩევა, რომლებშიც სააგენტო ეტაპობრივად ნერგავს საქმის წარმოების ელექტრონულ მუნიციპალური მართვის სისტემას (მმს). შერჩეული 15 მუნიციპალიტეტიდან ერთ-ერთი კასპია.

ტექნიკის გადაცემის პარალელურად, 40 საჯარო მოხელეს ჩაუტარდა ტრენინგები ე.წ. აიტი უნარებში, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებაში და ა.შ.

აღნიშნული სისტემის შედეგად, ადგილობრივ თვითმმართველობებში ყველაზე მოთხოვნადი მუნიციპალური სერვისები ელექტრონულ ფორმატში გაიცემა, რაც ხელს უწყობს გაწეულ მომსახურებაზე კონტროლის გაუმჯობესებას, მომსახურების მიღების ვადების შემცირებას, ხოლო გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო გამჭვირვალეა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა მადლობა გადაუხა და გიორგი ხაჩიძეს ტექნიკის გადაცემისა და მუშაობაში ხელშეწყობისათვის.



# სააღდგომო საჩუქრები

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს, აღდგომის დღესასწაულისათვის 385 შეკვრა სასაჩუქრე პაკეტი შეუძინა და გადასცა.

სასაჩუქრე პაკეტი, რომელზეც 17 509 ლარი დაიხარჯა მოიცავდა: ქათამს, კვერცხს, პასკას, ზეთს, შაქარს და ტკბილეულს.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.**

# სოფელი ქვემო გომი გაზიფიცირდება



კასპის მუნიციპალიტეტში წარმატებით გრძელდება სახელმწიფო პროგრამა - გაზი ყველა სოფელს. ამჯერად სამუშაოები სოფელ ქვემო გომშიც დაიწყო.

მკვებავი ანუ ცენტრალური მაგისტრალის გაყვანის შემდეგ, სოფელში საუბნო დაქსელვის სამუშაოები მიმდინარეობს. ყველა ოჯახთან ინდივიდუალურად დამონტაჟდება ბინამდე მისაყვანი ბუნებრივი აირის მილი, რომლის შემდგომი ეტაპი ბინაში შეყვანაა.

სამუშაოებს შპს "ექსპრესსერვისი" აწარმოებს, დამკვეთი კი საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაა.



# დანიშვნა

## კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ დაინიშნა ზაზა მარიდაშვილი



კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ დაინიშნა ზაზა მარიდაშვილი.

ზაზა მარიდაშვილი დაიბადა 1973 წლის 9 დეკემბერს ქალაქ კასპში;

1990 წელს დაამთავრა ქალაქ კასპის № 3 საშუალო სკოლა;

1991 - 1996 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, მიიღო სამართალმცოდნის კვალიფიკაცია;

1991 - 1992 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს კასპის რაიონის სამმართველოს იურისტია;

1994 - 1995 წლებში მუშაობდა ქარხანა "კასპიელექტროაპარატის" სამეურნეო განყოფილების უფროსად;

1995 - 1997 წლებში იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კასპის შინაგან საქმეთა სამმართველოს გამომძიებლის თანაშემწე;

1997 - 2005 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა - მთიანეთის სამხარეო საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელია;

2002 წელს ჩააბარა პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა;

2005-2006 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ბანდიტიზმის, დამნაშავეთა სამყაროს ლიდერების და ადამიანის თავისუფლების აღკვეთის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო განყოფილების უფროსად;

2007-2014 წლებში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრია - სისხლის სამართლის სპეციალობით;

2014 წელს იყო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

2015 წელს მუშაობდა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ;

2017 წლის პირველი აპრილიდან კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეა;

ზაზა მარიდაშვილი არის კასპის მუნიციპალიტეტში სარაგბო კლუბის "იბერიონი"-ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ახალგაზრდული ტელე-მაუწყებლის "მომავალი ტვ"-ს დამფუძნებელი, საზოგადოებრივ-საქველმოქმედო მოძრაობა "სიკეთის მოხალისე"-ს დამფუძნებელი, "ინოვაციური ცენტრის" და დისტანციური მომსახურების სერვისების: "ონლაინ სკოლა" და "ოჯახის კონსულტანტი" -ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელი;

2013 წლიდან მ.პ.გ. "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს პარტიის წევრია;

2013 წლიდან არჩეულია მ.პ.გ. "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს მთაწმინდის საოლქო ორგანიზაციის ბიუროს წევრად;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

„ახალი განთიადი" ეძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში!

## თავისუფლების სიმძიმე

# პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გაკვეთილები

**საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი სამი წელი დროთა განმავლობაში რომანტიკული წარმოდგენებით შეიმოსა და შემდგომი თაობებისათვის "პატარა ოქროს ხანად" იქცა. გასული საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც დამოუკიდებლობის დღეს დიდი რისკის ფასად აღნიშნავდნენ, ვლასა მგელაძე წერდა: "განსაკუთრებით დიად და პირდაპირ დაუჯერებელ სანახაობას წარმოადგენდა 26 მაისის საპროტესტო დემონსტრაციები 1921 და 1922 წლებში, სადაც თავპირდასისხლიანებული ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი თავის პაწია თითებით ეროვნულ სამფეროვან დროშას ჯალათ ჩეკისტებს არ ანებებდნენ. მანდილოსნები, ვაჟკაცები მოძალადე ხელისუფლებას და მათ ჯალათებს გააფთრებით ებრძოდნენ... ასეთი ამბები მთელ საქართველოში ხდებოდა", — ამას ამბობდა თავადაც დაუდგრომელი მებრძოლი და პატრიოტი ადამიანი, რომელიც 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების შემდეგ მთაწმინდაზე გაიქცა და ილია ჭავჭავაძის საფლავს ჩასძახა: "ილია, შენი ნატვრა ახდა!"**

**საბჭოთა იდეოლოგია ათეული წლების მანძილზე ცდილობდა ქართველი ხალხის მეხსიერებიდან ამოეძირკვა ისტორიის ეს ეპიზოდი. ის ან დუმდა, ან ფაქტებს ამახინჯებდა.**

**დღეს, როდესაც საქართველო კვლავ დამოუკიდებელია, ისტორიკოსებსა და ექსპერტებს შესაძლებლობა აქვთ რეალურად შეაფასონ წარსული, იმსჯელონ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისთვის დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრებას. ამ საკითხებზე საუბრობენ ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე და სოციოლოგი ამირან ბერძენიშვილი.**

დიმიტრი შველიძე, პროფესორი, ისტორიკოსი:

— ბატონო დიმიტრი, სამი წელი ისტორიისთვის საკმაოდ მცირე მონაკვეთია, თუმცა, ეს ერთ-ერთი საუკეთესო ხანა იყო XX საუკუნის საქართველოსთვის, რაზეც საბჭოთა პერიოდში ნაკლებად საუბრობდნენ...

— ეს იყო ჯოჯოხეთური ძალდატანება ისტორიაზე, ერის მანქურთად ქცევის ანტიადამიანური ექსპერიმენტი და ერთ-ერთი მძიმე დანაშაული, რომელიც ბოლშევიზმმა ჩაიდინა ქართველი ხალხის მიმართ. საბედნიეროდ, ექსპერიმენტი მარცხით დამთავრდა და სრულიად საპირისპირო შედეგი მოგვიტანა.

— რამდენად ობიექტური იყო წინა თაობების დამოკიდებულება ამ მოვლენის შეფასებისას?

— უკანასკნელი ოცწლეულის მანძილზე იდეოლოგიური დიქტატურისაგან გათავისუფლებული ქართული ისტორიოგრაფია დიდი ენთუზიაზმით შეუდგა პირველი რესპუბლიკისა და საერთოდ გასული საუკუნის დასაწყისის ეროვნული მოძრაობის ისტორიის შესწავლას. ამ ხნის განმავლობაში გამოქვეყნდა ათეულობით წიგნი, ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო; უმთავრეს შტრიხებში მაინც აღდგა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისტორიული სურათი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ პირველი რესპუბლიკის ისტორია მხოლოდ 1918-1921 წლებით არ შემოიფარგლება. აღნიშნული სამწლეული იყო იმ ქართული პოლიტიკური ელიტის ისტორიის ნაწილი, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს გახლდათ ეროვნულ და პოლიტიკურ მოღვაწეთა ბრწყინვალე პლეადა, რომელიც 20-იან წლებში ან გააძევეს, ან ფიზიკურად მოსპეს, ან კიდევ, სხვა მეთოდებით აღგავეს პოლიტიკური არენიდან. ამ თაობამ დიდი ინტელექტუალური და პრაქტიკული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელსაც შემდგომშიც სიღრმისეული შესწავლა და გათვალისწინება სჭირდება. ქართული პოლიტიკური ელიტა ჯერ კიდევ კარგად არ იცნობს არჩილ ჯორჯაძის, მიხაკო წერეთლის, ვარლამ ჩერქეზიშვილის, სპირიდონ კედიას, გიორგი გვაზავას, გიორგი ლასხიშვილის, გრიგოლ რცხილაძის, სამსონ ფირცხალავას, გერონტი ქიქოძის, ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელისა და სხვათა გამოცდილებას.

— პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მესვეურებს საკმაოდ რთულ პერიოდში მოუწიათ მოღვაწეობა. ამ გადასახედიდან, ალბათ, უკეთ შეიძლება გავაანალიზოთ, როგორ მოახდინა მაშინდელმა პოლიტიკურმა ელიტამ ერის კონსოლიდაცია. თუმცა, ეს ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. ამ გამოცდილებიდან რა უნდა გაითვალისწინოს და ისწავლოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ?

— რამდენიმე გარემოება ნამდვილად გასათვალისწინებელია. მაშინდელმა ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ და, საერთოდ, საზოგადოებამ გაერთიანება ნამდვილად შეძლო. 1917 წლის ნოემბერში პირველ ეროვნულ ყრილობაზე ყველა პოლიტიკური პარტიისა და სოციალური ფენის წარმომადგენელი შეიკრიბა. შეიქმნა ეროვნული საბჭო. ეს უდიდესი მიღწევა იყო. ნოე ჟორდანია წერდა: "საჭირო იყო ერთი, ყველა ქართველისათვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა, საიდანაც უნდა გამოირიცხოს ყველა გამთიშველი ელემენტები. ამნაირათ დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ძირითად ხარტიათ. იშვა 26 მაისი, იშვა ერთი მთლიანი ქართველი ერი".




მართალია, ნოე ჟორდანიას ამ ჩანაწერს ისტორიული კატეგორიების სიზუსტე აკლია, არც მისი ქართულია მთლად გამართული, მაგრამ კავკასიის სოციალ-დემოკრატიის "დალაილამამ," იგრძნო ისტორიული წამის სიდიადე და ილიას ეროვნული ერთიანობის სტრატეგიის შეუცვლელობა აღიარა. თუმცა, პოლიტიკური ბრძოლა დემოკრატიულ საქართველოშიც გრძელდებოდა. სოციალ-დემოკრატიულ, მმართველ უმრავლესობას თავს ესხმოდნენ მარჯვნიდანაც — ეროვნულ-დემოკრატები, მარცხნიდანაც — ესერები, სოციალისტ-ფედერალისტები. პოლემიკა მიმდინარეობდა პრესაშიც, მიტინგებზეც, არჩევნების პერიოდშიც, მაგრამ იდეური დაპირისპირება დემოკრატიული პლურალიზმის ჩარჩოებს არ სცილდებოდა და არასოდეს მიუღია შეიარაღებული კონფრონტაციის სახე — ეს არის პირველი რესპუბლიკის უმთავრესი გაკვეთილი.




ვინც 1918-1921 წლების დამოუკიდებლობის ისტორიას მეტ-ნაკლებად იცნობს, დაგვეთანხმება, რომ მაშინ დეკლარირებულმა ნეიტრალიტეტის კურსმა, როგორც იტყვიან, არ იმუშავა. იგი ფურცელზე დარჩა. საქართველოს დღევანდელი ნეიტრალიტეტის მომხრენი "აქტს" იმოწმებენ და ამით ასაბუთებენ თავიანთი პოზიციის მიზანშეწონილობას. ამგვარი დასაბუთება სრულიად მოკლებულია ისტორიულ საფუძველს. პირველი რესპუბლიკის ერთადერთი საგარეო ორიენტაცია დასავლეთი იყო. საქართველომ უარყო საბჭოთა რუსეთის მიერ შემოთავაზებული მოკავშირეობის წინადადება. "რას ნიშნავს ეს კავშირი?" - კითხულობდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე და პარლამენტს განუმარტავდა: "ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კავშირი გავწყვიტოთ ევროპასთან, როგორც მათ აქვთ ეს კავშირი გაწყვეტილი და პირი ვიბრუნოთ აღმოსავლეთისაკენ..." ამ სიტყვებს და პირველი რესპუბლიკის გამოკვეთილ პროდასავლურ ორიენტაციას კომენტარი აღარ სჭირდება. აქ უბრალოდ განვმარტავთ, რომ მთავრობის თავმჯდომარე სიტყვა "ჩვენში" მთელ ქართულ საზოგადოებას და ორიათასწლოვან ქართულ პოლიტიკურ ტრადიციას გულისხმობდა. ასევე უნდა გავიგოთ სიტყვა "მუდამ" — ე. ი. მთელი ისტორიის მანძილზეო. მაშინაც კი, როცა კონსტანტინეპოლი დაეცა და ევროპა უსაშველოდ დაშორდა საქართველოს, ჩვენი პოლიტიკოსები დასავლეთის იმედს არ კარგავდნენ. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება —

*გაგრძელება გვ4.



## ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის დეკორატიული ღობე მოეწყობა

სოფელ ხოვლეში ქართველი მეცნიერის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის დეკორატიული ღობის მოწყობის სამუშაოები დაიწყო.

არსებული ღობის დემონტაჟის პარალელურად მიმდინარეობს გალავნის საძირკველის ბეტონით მოწყობა. პროექტი ითვალისწინებს: ღობის საფასადე ნაწილის ნიჩბისის ბუნებრივი ქვითა და ორიპირი ქართული აგურით, ხოლო ღობის არასაფასადე ნაწილის ლითონის ბადით მოწყობას.

გაკეთდება ლითონის დეკორატიული ღობე, დამონტაჟდება ალაყაფისა და კუტიკარის ლითონის მხატვრული კარებები, დამუშავდება და შეიღებება არსებული მოაჯირიც.

პროექტის განხორციელება აკადემიკოსის სახლ-მუზეუმის ტერიტორიის დაცულობას უზრუნველყოფს - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ. სამუშაოებს შპს "იმედი დიდუბე" ასრულებს, პროექტის ღირებულება 57 757 ლარია, გარანტია კი ხუთი წელი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი განახორციელებს.



**თავისუფლების სიმძიმე**

# პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გაკვეთილები

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. გვ3.

მმართველი პარტია საჭირო სიმკაცრით არ ებრძოდა ადგილობრივ ბოლშევიკებს და რუსეთიდან ჩამოსულ ემისრებს. საქართველოს დამოუკიდებლობის შეურიგებელი მტერი სერგო ორჯონიკიძე იგონებს: "როდესაც 1919 წელს შემთხვევით მოვხვდი თბილისში, ნოე ჟორდანიამ ამხანაგის პირით შემომითვალა: "სერგო! ნუ ივლი თბილისის ქუჩებში, ჩვენ შენ არ დაგიჭერთ, მაგრამ ინგლისელებმა იციან შენი აქ ყოფნა და ისინი დაგიჭერენ".

ბოლშევიკები სხვაგვარად მოიქცნენ: 1922-1923 წლებში აჯანყების მოსამზადებლად საქართველოში ემიგრაციიდან ჩამოსული ყოფილი თანაპარტიელები ნოე ხომერიკი, ვალიკო ჯუღელი და ბენია ჩხიკვიშვილი მათ დაიჭირეს და დახვრიტეს. ასე უპასუხეს ორჯონიკიძე-ბერიებმა ჟორდანია-რამიშვილების ლიბერალიზმს.

მიუხედავად აღნიშნული და სხვა შეცდომებისა, ისინი ისეთი ხასიათისა არ ყოფილა, რომ რაიმე სერიოზული როლი შეესრულებინოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემაში. მარცხის მთავარი მიზეზი საბჭოთა რუსეთის მრავალრიცხოვან არმიებთან გამკლავების შეუძლებლობა იყო.

დაბოლოს, ისტორიულ გამოცდილებასთან ერთად, მიუხედავად დამარცხებისა, პირველმა რესპუბლიკამ ქართველ პატრიოტთა მომავალ თაობებს სამართლებრივ-იურიდიული მემკვიდრეობა დაუტოვა, რათა მათ გაეგრძელებინათ ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი ბაზის — საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე აღდგა დღევანდელი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო — პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე.

**მასალა მოამზადა შურთხია ბეროშვილმა.**

ამირან ბერძენიშვილი, სოციოლოგი:

— 1918 წლის 26 მაისი საქართველოს ისტორიაში მართლაც ფუნდამენტური მნიშვნელობის ისტორიული მოვლენაა, რომელმაც სათავე დაუდო არა მარტო სახელმწიფოებრიობის აღდგენას, არამედ ჩვენი კულტურის, თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ჩემს თაობას რთულ დროში მოუწია ცხოვრება. საბჭოთა პერიოდში არც სკოლებში, არც უმაღლეს სასწავლებლებში ამ თემაზე ხმამაღლა არავინ საუბრობდა. სამაგიეროდ, 23 თებერვალს პომპეზურად აღნიშნავდა ხელისუფლება. თუმცა საქართველოში ყოველთვის ახსოვდათ ეს დღე და ერში მისი ხსოვნა ნაკვერჩხალივით ღვივოდა. მახსოვს, მე და ჩემი თანატოლები სხვადასხვაგვარად ვახერხებდით ამ ისტორიული მოვლენის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

იმ სამი წლის მანძილზე, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო, ქვეყანაში, კულტურული თვალსაზრისით, ბევრი რამ შეიცვალა. ჯერ მარტო ახალდაარსებული უნივერსიტეტის აღორძინება და გაძლიერება რად ღირდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა სამეცნიერო სფეროში. ჩვენი მეცნიერები და სტუდენტები დასავლეთ ევროპაში მიემგზავრებოდნენ და იქ იმაღლებდნენ პროფესიულ ცოდნას. შემდგომ კი უნივერსიტეტში აგრძელებდნენ მოღვაწეობას.

— როდის გაიაზრა ქართულმა საზოგადოებამ, რომ ეს მართლაც მნიშვნელოვანი თარიღი და მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში?

— XX საუკუნის 70-იან წლებს, როდესაც საქართველოში დისიდენტური მოძრაობა დაიწყო, გამოღვიძების პერიოდს დავარქმევდი. სწორედ იმ დროს სარბიელზე გამოვიდნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და მათი თანამებრძოლები, რომლებიც ცდილობდნენ, კვლავ გაეღვიძებინათ ხსოვნა 26 მაისის შესახებ და საზოგადოებისათვის ჩაენერგათ იმედი, რომ შესაძლოა საქართველომ დამოუკიდებლობა კვლავ მოიპოვოს.

მართალია, ჯერ ისევ ჩუმად ვკითხულობდით არალეგალურ ლიტერატურას, მაგრამ ცხადი იყო, საზოგადოებაში ამ აზრმა მომწიფება დაიწყო. ამავე პერიოდში, დისიდენტების გარდა, "მარქსისტი" პროფესორებიც კი, პირად საუბრებში ჩუმად გვიყვებოდნენ დამოუკიდებელი რესპუბლიკის შესახებ და წყაროებზეც გვითითებდნენ. ისინი, გარკვეულწილად, თავს საფრთხეში იგდებდნენ. როდესაც ენის დაცვის პრობლემა დადგა, მაშინ ამის შესახებ უკვე ხმამაღლა დაიწყო საუბარი.

როდესაც საბჭოთა კავშირს "ნაპრალები" გაუჩნდა და ეგრეთწოდებული გარდაქმნის ეპოქა დაიწყო, უმაღლესმა ხელისუფლებამაც გააცნობიერა, რომ ცვლილებები გარდაუვალი იყო. მახსოვს, 1987 წელს, ილია ჭავჭავაძის იუბილეზე, დამოუკიდებლობის იდეაზე ბევრი ალაპარაკდა, რასაც მოჰყვა 1988 წლის მოვლენები, შიმშილობები და ა. შ. ეს უკვე ნიშნავდა, რომ ჩვენ დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად ვემზადებოდით. მაშინ ბევრს მაინც არ სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო ისეთი ვეება "მახინის" დაშლა, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო. მოვლენები კი ისე წარიმართა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელი გახდა.

არ დამავიწყდება, სახალხო ფრონტის ყრილობაზე მოულოდნელად დარბაზში ეროვნული დროშა შემოიტანეს, რომელიც 1921 წლიდან მოყოლებული ერთ-ერთი მოქალაქის სახლის კედელში იყო დატანებული. საზოგადოებაში ამ დროშის დანახვამ საოცარი ემოცია გამოიწვია — იყო ცრემლი და სიხარული. იმ ადამიანმა სწორედ იმ რწმენით შეინახა დროშა, რომ კვლავ მოესწრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას. საზოგადოების გარკვეული ნაწილი მაშინაც სკეპტიკურად უყურებდა დამოუკიდებლობას, მაგრამ,




ზოგადად, იმისათვის მზაობა არსებობდა, რომ რაღაც უნდა შეცვლილიყო. სოციალისტურმა საბჭოურმა სისტემამ იმდენად ამოწურა თავი და ისე შეიჭრა მეტასტაზები ყველა სფეროში, რომ ყველა ხვდებოდა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. შემდგომში გამოვლინდა იმის მცდელობები, რომ საბჭოთა კავშირი არ დაშლილიყო, მაგრამ ეს იდეა თავიდანვე განწირული იყო.

მაშინ, როდესაც ამ თემაზე აქტიური საუბრები თუ ქმედებები დაიწყო, გამოჩნდნენ უფრო "ფხიზლად" მოაზროვნეებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ დამოუკიდებლობას, შესაძლოა, ქვეყნისათვის უბედურებაც კი მოეტანა. ასეთები არა მარტო კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეებიც. მათ 70 წლის განმავლობაში საბჭოური იდეოლოგიის გავლენას თავი ვერ დააღწიეს. ხელახალი თავისუფლების მოპოვება არც ისე ადვილი იყო, მაგრამ 26 მაისის იდეას ალტერნატივა არ ჰქონდა.

— თქვენი აზრით, რატომ ვერ შევინარჩუნეთ 1918 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობა?

— ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად მიმაჩნია ის, რომ იმდროინდელი საზოგადოება ერთსულოვანი არ იყო. ბოლშევიკებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, არც სოციალ-დემოკრატები ყოფილან ულტრა ნაციონალები. ისტორიიდან ცნობილია — რომ არა გერმანიისა და სხვა ქვეყნების ზეწოლა, შესაძლოა სოციალ-დემოკრატებს არც კი გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა. მოსაზრება, რომ რუსეთი უნდა გარდაქმნილიყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოდ და იქ მოგვეპოვებინა ჩვენი ნიშა, მაშინაც დომინირებდა. საქართველოს შეიძლება შეენარჩუნებინა კიდეც დამოუკიდებლობა, მაგრამ სოციალ-დემოკრატები ძალიან შეიცვალნენ.



დამოუკიდებლობის დაკარგვა, ზოგადად, ბევრმა ფაქტორმა განაპირობა. პირველ რიგში, ეს მაინც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის დამსახურება იყო, რომელიც ყოველგვარ ტაქტიკასა და ხერხს მიმართავდა, რათა ქართული სახელმწიფოს მესვეურები მოეტყუებინა. მეორე მხრივ კი, ეს იყო დასავლეთის გულგრილობა საქართველოს მიმართ.

გარდა იმისა, რომ ჩვენ დღეს დამოუკიდებლები ვართ, ამ თარიღს სხვა დატვირთვაც აქვს — ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დაბრკოლებების, დიდი და ძლიერი სახელმწიფოების წინააღმდეგობების მიუხედავად, შესაძლოა, ყოველთვის მონახო ბრძოლის გზა. გაისარჯო, რომ საკუთარი ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდე. როდესაც შენი ქვეყანა დამოუკიდებელი არ არის, მაშინ გამოსავალი ერთია — ან უნდა იბრძოლო, ან სამუდამოდ დაიღუპო.

— დღეს საქართველო დამოუკიდებელია, თუმცა ხშირად ისტორიული პარალელების მოწმენიც ვართ...

— გეთანხმებით. ამის ნათელი მაგალითი 2008 წლის აგვისტოს მოვლენებია, როდესაც საქართველო სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა რომ არა, შესაძლოა, უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩენილიყავით. ერად ყოფნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარეშე შეუძლებელია.

— რუსეთის ზეწოლისაგან თავის არიდება კვლავ ბევრ პრობლემას გვიქმნის. გამოსავალს თუ ხედავთ?

— სანამ რუსეთი თვითონ არ გახდება დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფო, ძალიან ფრთხილად უნდა იყოს ჩვენი ხელისუფლება, რომ რაიმე სერიოზული რეციდივი არ მოხდეს. მჯერა, ქართულ საზოგადოებაში, მის ყველაზე პრორუსულ ნაწილშიც კი, არ არის იმის მზაობა, რომ რუსების გავლენის ქვეშ ვიცხოვროთ. რუსეთს დღეს ყველაზე ნაკლები დასაყრდენი აქვს ქართულ საზოგადოებაში. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობა გარკვეულწილად დარეგულირდეს.

ჩვენ უკვე გემო გავუგეთ თავისუფლებას. მართალია, მაძღარი თავისუფლები არა ვართ, მაგრამ მაინც, იმ მაძღარ ძაღლს, რომელიც პატრონის ფეხებთან თბილად მოკალათებულა, მშიერი მგელი სჯობს, რომელიც თავისუფლად დანავარდობს და არავისი მონა არ არის. თუ გონიერებას გამოვიჩენთ, დავძლევთ გაჭირვებას, წინააღმდეგობას და ჩვენც, ჩვენი შვილები და შვილიშვილები თავისუფალ და მდიდარ ქვეყანაში ვიცხოვრებთ.

## წინ ფინალური ტურია



საქართველოს საგუნდო საზოგადოების ინიციატივითა და ორგანიზებით აპრილის პირველ რიცხვებში ქალაქ გორში გაიმართა ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მესამე ეროვნული კონკურსის პირველი რეგიონული ტური, რომელშიც მონაწილეობდნენ შიდა ქართლის (გორი, კასპი, ხაშური) საგუნდო კოლექტივები. აღსანიშნავია, რომ ამ მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასთან (დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი) არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ლელა პეტრიაშვილი) სიმღერისა და გალობის წრის მოსწავლეები.

კასპელი მგალობელ-მომღერლები ღირსეულად გამოვიდნენ კონკურსზე, უფრო მეტიც, ეს გახლდათ ერთგვარი განაცხადი იმისა, რომ აქაურმა მომღერლებმა თვალსაჩინო კონკურენცია გაუწიეს თანატოლ მოსწავლეებს და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს... კონკურსის ჟიურის მიერ დაწესებული კრიტერიუმის თანახმად კონკურსანტები წარდგნენ ორ კატეგორიაში, კერძოდ, შესრულდა ქართული გალობა, მათ შორის, ორი საგალობელი: "დღეს საღმრთომან მადლმან" და "ღვთისმშობელო ქალწულო", სხვათა შორის, მაყურებელი ოვაციებით შეხვდა აგრეთვე, ჩვენი ბავშვების მიერ შესრულებულ ქართულ-ხალხურ სიმღერებს "ცხენოსნურს" და "ნანინას"... ერთი სიტყვით, ნამდვილად ასახელეს კასპი მოსწავლეთა სახლის სიმღერა-გალობის წრის მოსწავლეებმა: თეკლა ბერიანიძემ, ანანო პაიჭაშვილმა, მარიამ მურღულმა,



თამარ პაიჭაშვილმა, ანა მურღულმა და ლიზი ჯოხაძემ.

— კონკურსზე ჩვენი მოსწავლეების გამოსვლამ ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურა, განსაკუთრებით აღინიშნა ისიც, რომ ბავშვებმა საგალობლების კატეგორიაში საკმაოდ რთულად შესასრულებელი ნაწარმოები აირჩიეს და თქვენ წარმოიდგინეთ, წარმატებითაც გაართვეს თავი, — აცხადებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გალობა-სიმღერის წრის ხელმძღვანელი ლალი კალატოზიშვილი, — ზოგადად კი, კონკურსის მიზანი გახლდათ აკადემიური საგუნდო სიმღერის პოპულარიზაცია, ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მხარდაჭერა, მონიტორინგი და ასევე, საშემსრულებლო დონის ამაღლება, დახვეწა.

ცნობილი გახდა ისიც, რომ კონკურსში გამარჯვებული კასპელი მგალობელ- მომღერლები გადავიდნენ ფინალურ ტურშიც, რომელიც გაიმართება ქალაქ თბილისში, მიმდინარე წლის მაისის პირველ დეკადაში. ბავშვები მთელი პასუხისმგებლობით ემზადებიან და მოუთმენლად ელოდებიან დედაქალაქში გამგზავრებას. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ფინალური ტურიც წარმატებული იქნება...

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

## „გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში“



კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების ინიციატივითა და ორგანიზებით ამას წინათ კულტურული ღონისძიება ჩატარდა სახელწოდებით "გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში". ყურადსაღები გახლავთ ის ფაქტიც, რომ წინასწარ დათქმულ დღეს კასპის საერო სკოლა-გიმნაზიის (დირექტორი ბესიკ ნიპარიშვილი) მესამე კლასის (დამრიგებელი ლია ზავრადაშვილი) მოსწავლეები ბიბლიოთეკას ეწვივნენ საბავშვო განყოფილებისა და წიგნადი ფონდის დასათვალიერებლად. რამდენიმეწუთიანი ექსკურსიის შემდეგ მოსწავლეებმა პატარა, მაგრამ ლამაზად მორთულ დარბაზში გადაინაცვლეს...

— მოსწავლეებს დავათვალიერებინეთ ჩვენი წიგნადი ფონდი, გავაცანით საბავშვო ლიტერატურა, — განაცხადა საბავშვო განყოფილების სპეციალისტმა ციცინო ქენქაძემ, — მოგეხსენებათ, ბიბლიოთეკა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება გახლავთ და ეს ფაქტორი ზედმიწევნით შეიგრძნეს დღეს აქ მოწვეულმა ჩვენმა პატარა მკითხველებმა და დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ღონისძიებები სამომავლოდ კიდევ გაგრძელდება, გპირდებით, რომ სხვა სკოლის მოსწავლეებსაც მოვიწვევთ ბიბლიოთეკაში გამართულ შეხვედრებზე.

თავის მხრივ ბავშვებმაც იყოჩაღეს და გულითადი მასპინძლების წინაშე თავი გამოიჩინეს სიმღერით, ლექსებისა და პატარა მოთხრობების წაკითხვით. შეხვედრას ესწრებოდნენ მშობლებიც, რომლებმაც კმაყოფილება გამოთქვეს ასეთი შინაარსიანი და შთამბეჭდავი დახვედრისათვის. ბოლოს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მიესალმა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი, რომელმაც დადებითად შეაფასა დაგეგმილი ღონისძიება და მადლობა გადაუხადა საბავშვო განყოფილების სპეციალისტებს გაწეული მუშაობისათვის.



**კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.**

## წიგნის საერთაშორისო დღე



ორი აპრილი საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე, რომელიც 1967 წლიდან აღინიშნება და ემთხვევა ცნობილი პოეტისა და მეზღაპრის, ჰანს კრისტიან ანდერსენის დაბადების დღეს... ამ დღის დაარსებიდან მისი მუდმივი სპონსორი გახლავთ საერთაშორისო საბჭო, რომელიც აქტიურად ეწევა წიგნების პოპულარიზაციას მოზარდებში... ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა მნიშვნელოვანია მოზარდისათვის თვალსაწიერის გაფართოება და ბუნებრივია, წიგნის გარეშე ბავშვი ამას ვერ შეძლებს, დიახ, მოზარდის განვითარება, ჩამოყალიბება პატარაობიდანვე უნდა დაიწყოს. სწორედ ამ მიზანს ისახავს წიგნის საერთაშორისო დღე, ამ დღეს ცნობილი პოეტები და მეზღაპრეები, ილუსტრატორები სხვადასხვა ქვეყანას სტუმრობენ, მართავენ ბავშვებთან შეხვედრებს, პოპულარიზაციას უწევენ საბავშვო წიგნებს...

საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღეს კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების (დირექტორი თეა ბარნაბიშვილი) მთავარი ბიბლიოთეკის (მენეჯერი მაია მარჯანიძე) საბავშვო განყოფილებამ ქალაქის მეორე საბავშვო ბაღის აღსაზრდელები მოიპატიჟა და პატარა ზეიმიც მოუწყო. ბავშვებს (5-6 წლის) თან ახლდნენ ბაღის გამგე თამარ ხოკრიშვილი, აღმზრდელი ნანა დალაქიშვილი, მისი თანაშემწე ნინო კობლიშვილი, მეთოდისტი ეკა ქარჩავა. საბავშვო განყოფილების სპეციალისტმა ციცინო ქენქაძემ სტუმრებს საგულდაგულოდ დაათვალიერებინა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, გასაგებად ესაუბრა ბიბლიოთეკისა და საერთოდ წიგნის მნიშვნელობაზე, წარუდგინა ილუსტრირებული გამოცემები...

ბიბლიოთეკაში მოსულ პატარა სტუმრებსა და მათ აღმზრდელ-მასწავლებლებს მიესალმნენ გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი, მთავარი სპეციალისტი ლია მენაბდიშვილი. ბავშვებმა კი, გულითად მასპინძლებს ლექსები წაუკითხეს, სიმღერები შეასრულეს. ციცინო ქენქაძემ სტუმრებს საჩუქრად გადასცა ბიბლიოთეკის პატარა მკითხველის ქეთევან კოპაძის სააღდგომო ნახატი. ბოლოს, გაერთიანების მთავარმა სპეციალისტმა ხათუნა მარქარაშვილმა ბავშვებს საჩუქრად ფერად-ფერადი ბუშტები დაურიგა და თან ტკბილეულითაც გაუმასპინძლდა.



კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

# ხსოვნა გულისა

გულის ტკივილი, სევდა, რომელიც ახლობელი ადამიანის დაკარგვას ახლავს, მოუშუშებელ იარად რჩება. იმასაც ამბობენ ხოლმე, დროთა განმავლობაში ადამიანი ეგუება მწუხარებას, მაგრამ არა... ერთადერთი, რითიც ოდნავ შეიძლება შეიმსუბუქო ტკივილი, ცოტათი მაინც ინუგეშო თავი, გარდაცვლილთა გახსენება, პატივის მიგებაა... აი,



სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამართული ღონისძიება, რომელიც მათი გარდაცვლილი თანამშრომლების ხსოვნას მიეძღვნა.

ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ესწრებოდნენ მუზეუმების გაერთიანების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები, გარდაცვლილთა ოჯახის წევრები და ახლობლები... შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს იმ ადამიანების ხსოვნას, რომლებმაც თავიანთი დაულალავი შრომით, ფასდაუდებელი და მნიშვნელოვანი ნაშრომები დაუტოვეს რაიონის მატიანეს, მუზეუმს. შემდეგ მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა შეკრებილ საზოგადოებას გაახსენა რაიონის მემატიანეები: ესენი იყვნენ მუზეუმის პირველი დირექტორი დურმიშხან კაპრაშიძე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ხორგუაშვილი, მუზეუმის მეცნიერ-მუშაკები დალი მელაძე,



გივი ფარემუზაშვილი, ხათუნა ჯავახიშვილი, ელიზა და თამაზ შეშაბერიძეები, გივი დალაქიშვილი, ცირა მამულაშვილი, გივი ზარიძე, ქეთო ბიჭიკაშვილი, არსენ თეზიაშვილი, შალვა თანდაშვილი, სოსო ირემაძე, შოთა ბაზუაშვილი, ვალოდია მჭედლიშვილი... მუზეუმის თანამშრომელთა რიგებს შარშან, გაზაფხულზე მოულოდნელად კიდევ ერთი, მარინე (ლალი) თათრიშვილი გამოაკლდა... უცრემლოდ,



ემოციების გარეშე ვერ მოისმენდით გამომსვლელთა გულისწუხილს ლალის უდროოდ გარდაცვალების გამო, ის ხომ თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე, პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანი იყო, რომელმაც მუზეუმს 60- ზე მეტი ძვირფასი ნაშრომი დაუტოვა, უფრო მეტიც, წლების განმავლობაში მუზეუმში არ ჩატარებულა სამეცნიერო სესია, სადაც ლალი თათრიშვილის ფრიად აქტუალური და მნიშვნელოვანი ნაშრომი არ განხილულიყო. მის თავდადებულ, პირად ინიციატივასა თუ უანგარო წვლილზე დაწვრილებით არის



დაფიქსირებული ვიდეორგოლში (აჩვენეს ღონისძიებაზე), რომელიც კოლეგებმა მიუძღვნეს ლალი თათრიშვილის ხსოვნას. მოკლედ, რამდენიმეთვიანი შრომისა და ძალისხმევის შედეგად კოლეგებმა საგულდაგულოდ მოიძიეს ადრინდელი ჩანაწერები, ფოტომასალა, რომელიც ლალი თათრიშვილის სამუზეუმო საქმიანობას ეხება და



თითქმის ერთსაათიანი კლიპი წარუდგინეს საზოგადოებას, კოლეგებს... სწორედ კლიპის პრეზენტაციის შემდეგ მოგონებებით გამოვიდნენ და გარდაცვლილ კოლეგას პატივი მიაგეს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა თინათინ მაისურაძემ, ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის დირექტორმა სოფიო ფავლენიშვილმა,



გაზეთ "ახლი განთიადის" რედაქტორმა ნანა მერებაშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა დალი კორკომაშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ და სხვებმა.

დაბოლოს, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიების დაგეგმვისა და ჩატარებისათვის მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს, შეაფასა და მისაბაძი უწოდა მას მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.



## ლექცია — საუბარი

# კასპის ახალი უბნები

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასთან არსებულ მოსწავლეთა სახლში ჩატარდა ღონისძიება, რომლის ორგანიზატორი გახლდათ გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. საინტერესო ლექცია თემაზე



"ქალაქ კასპის ახალი უბნები"- წაიკითხა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამგემ ნანა მერებაშვილმა... ლექციას ესწრებოდნენ მოსწავლეები და მათი მშობლები, პედაგოგები.

— ისტორიის თანახმად კასპი, როგორც ქალაქი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ძველი წელთაღ-



რიცხვის მეხუთე-მერვე საუკუნეებში და იგი მნიშვნელოვან პოლიტიკური ცენტრის როლს ასრულებდა ქართლში, ხოლო რაც შეეხება ამ ნაშრომის ძირითად საკითხს, ჩვენი ქალაქის ახალ უბნებს, მაგალითად, — ვარჯაანი, ქეჩერუხი, ქარწისი, გერების უბანი, მიკრორაიონი და კიდევ სხვა დასახლებული კუთხე, რა თქმა უნდა, მოგვიანებით სხვადასხვა დროს "აღმოცენდნენ" ჩვენთან ერთად და ახლა იგი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, — განმარტავს აღნიშნული თემის ავტორი, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსკურსიამძღოლი ნელი ნიაზაშვილი, — მისივე განმარტებით დასახელებული უბნების სახელწოდებები ზოგი ძველი ტოპონიმია, ზოგი ისტორიული და თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიც მაცხოვრებლებმა თავად "მონათლეს," ასე მაგალითად, ეგრეთ წოდებული გერების უბანი წლების წინ იმდენად მიტოვებული, თანაც ისეთი მიუვალი იყო, რომ სწორედაც რომ შეეფერებოდა ეს სახელი.

მოკლედ, ლექცია-საუბარი ძალიან საინტერესოდ წარიმართა, ძირითადად კი, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა და ბავშვებს და არა მხოლოდ მათ, ბევრი კითხვა გაუჩნდათ... აქტიურობდნენ მოსწავლეები: ქეთი ჭალისური და ლუკა სპანდერაშვილი, თამთა დურგლიშვილი და გვანცა ფაფელაშვილი, თეკლა ბერიანიძე და მარიტა ბალხამიშვილი.

ლექციის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა სახლის დირექტორმა ლელა პეტრიაშვილმა ბავშვებისა და პედაგოგების სახელით მადლობა გადაუხადა მუზეუმს თანამშრომლობისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.



# წარღვნის შემდეგ რომ გაშენდა ვაზი

ბიბლიაში პირველად ღვინო ნოეს შესახებ თხრობისას გვხვდება. იგია პირველი ადამიანი, რომელმაც წარღვნის შემდეგ ვენახი გააშენა, ღვინო დააყენა, მიირთვა და თრობაც განიცადა (დაბ. 9:20-21).

ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის დროს მოსეს წარგზავნილმა მსტოვრებმა მას მოუტანეს ვაზის ლერწი იმის დასტურად, რომ ისრაელის მიწა უკვე ახლოს იყო.

ისრაელის მიწის ღვთისაგან დალოცვის ტექსტში ვაზი გამორჩეულადაა მოხსენიებული. ყურძნის მნიშვნელობა იმდენად დიდი გახლდათ, რომ ნებისმიერი მდიდარი მიწის აღწერილობა ყოველთვის მოიცავს ადგილობრივი ვენახების დახასიათებას. ყურძენი ისრაელის მიწის 7 ღვთივკურთხეულ ნაყოფს შორის ერთ-ერთია.

ღვინის ისტორიას ისრაელის მიწაზე, ბიბლიური ეპოქიდან მოყოლებული, შეგვიძლია თვალი გადავავლოთ. თორა და თალმუდი სავსეა ენოლოგიური რემინისცენციებით. თორაში ღვინო ყველაზე უფრო ხშირად ნახსენები სასმელია (141-ჯერ).

ღვინო ფარაონების საყვარელი სასმელი იყო. ისრაელიდან ღვინო ეგვიპტეში გაჰქონდათ. როცა პალესტინა არაბებმა დაიპყრეს, ღვინის დაწურვა აიკრძალა. ოსმალოს ბატონობამდე ვენახები სულმთლად გაიჩეხა.

ბარონი ედმონდ დე როტშილდის მიერ განხორციელებულმა ებრაელთა ჩასახლებამ ისრაელის მიწაზე მეღვინეობა გააცოცხლა. ევროპელ მდიდარ კაცს ორი გატაცება ჰქონდა: ისრაელის აღორძინება და მეღვინეობა (მისი ოჯახი დღესაც ფლობს ღვინის ბიზნესს). 1882 წ. მან დააარსა კოოპერატივი კარმელ მიზრახი, რომელიც 1990-იან წლებამდე დომინირებდა ისრაელის ღვინის წარმოებაში. ბარონის აზრით, მეღვინეობა ახალმოსახლეთა ეკონომიკურ დასაყრდენად უნდა ქცეულიყო. დღესდღეობით ისრაელის უძველესი ღვინის ქარხანა ქვეყანაში უმსხვილესი მწარმოებელია (75 პროცენტი) და 40 ქვეყანას ამარაგებს. თუმცა, გარკვეულ დრომდე ებრაული ღვინოები სათანადოდ არ ფასდებოდა. მათ აღიქვამდნენ, როგორც დაბალხარისხოვანსა და ძალიან ტკბილ სასმელს, მაგრამ 1960-70-იან წლებში მოულოდნელად დაიწყო გარდატეხა. მალე ისრაელი მსოფლიო ღვინის წარმოების ლიდერად იქცა.

ე. წ. ღვინის რევოლუცია (1972 წ.) უშუალოდ უკავშირდება 1967 წლის ექვსდღიან ომში ისრაელის გამარჯვებას, რომლის შემდეგაც ქვეყნის მფლობელობაში გოლანის მაღლობები მოექცა. იმხანად ისრაელში ჩასულმა კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ოუფმა გამოთქვა აზრი, რომ გოლანის ვულკანური, ბაზალტოვანი ნიადაგები მეღვინეობისთვის იდეალური იქნებოდა.

მართლაც, გოლანის მაღლობების მეღვინეობამ თავისი ახალი ნაწარმით (1983) სრული აღფრთოვანება გამოიწვია და აბსოლუტურად შეცვალა ისრაელის მეღვინეობის სახე - ახალგამომცხვარი წარმოება სპეციალისტებს კალიფორნიაში სასწავლებლად გზავნიდა, შემოჰქონდა ნერგები, ხვეწდა ტექნოლოგიებს. გოლანის თავკაცები მიხვდნენ, რომ ძველი ჯიშები (გრენაში, მალბეკი, სემიიონი) ისრაელის გარემოპირობებს ვერ ეთვისება და კაბერნე სოვინიონის, მერლოს, შარდონესა და სხვა ფრანგული ჯიშების მოყვანა დაიწყეს. ასე რომ, გოლანის ისტორია ებრაული ღვინის წარმატების ისტორიაცაა. გამლას, იარდენისა, და კაცრინის ღვინოები ზედიზედ იმარჯვებდნენ საერთაშორისო კონკურსებზე.

ისრაელის ღვინოების აღიარების დასტურია დიდი ბრიტანეთის გამოფენა-კონკურსი, 2010 (ე. წ. ღვინის ოსკარი), რომელშიც 43 ქვეყნის 11 000 მარკა მონაწილეობდა - კარმელის წითელმა მშრალმა შირაზმა (13,5 პროცენტის სიმაგრით) ორი პრემია მიიღო: ძვირფას ღვინოთა შორის საუკეთესო და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში საუკეთესო. მას შემდეგ ებრაული ღვინო ევროპის მოდური რესტორნების ღვინის რუკებზე დამკვიდრდა.

დღესდღეობით მთელ ქვეყანაში უამრავი ღვინის ქარხანაა. 5 მლნ ბოთლს აწარმოებს ყოველწლიურად (იარდენი, გამლა, გოლანი). შემსყიდველთა შორისაა ევროპა, აშშ, აფრიკა, ავსტრალია.

6 მსხვილი მწარმოებელი მთლიანი მოსავლის 75 პროცენტს აწარმოებს, ხოლო 12 დიდი კომპანია - 90 პროცენტს.

1970-იანებში დაწყებული ისრაელის ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და საზოგადოების ვესტერნიზაციის პროცესზე, რომლის პიკიც ჰაი-ტექ ბუმი და 90-იანებში ცხოვრების დონის გაუმჯობესება იყო, დიდი გავლენა მოახდინა ღვინის წამოებამ და მოხმარებამ. ისრაელში ჩამოყალიბდა ე. წ. კანოსიეების (მოწინავე მომხმარებელთა) ახალი კლასი, განსაკუთრებით, თელავივის რეგიონში.



მსხვილ წარმოებასთან ერთად ისრაელში ახალგაზრდა განათლებულმა ენთუზიასტებმა განავითარეს მცირე, მაღალხარისხოვანი, ე. წ. ბუტიკური საოჯახო მეღვინეობა. ტერუარების (ნიადაგის, კლიმატისა და გეოგრაფიული მდებარეობის უნიკალური თავსებადობა) ღვინო ყველა კონტინენტზე იყიდება. დღესდღეობით მცირე მეღვინეობის განვითარება გრძელდება.

კონკურენციის გამო მწარმოებლები ახალი ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვნენ, იწვევენ გამოცდილ სპეციალისტებს, შეისწავლიან მთიანეთის გრილ ნიადაგებს. თუ ადრე ისრაელის ღვინოების უმეტესობა ტკბილი, სადესერტო იყო, ამჟამად მშრალი ღვინოები ჭარბობს და ისინი მთელი მსოფლიოს ღვინისმოყვარულთა ინტერესს იწვევს.

ისრაელში ღვინის რეგიონების კონტროლირებული სისტემა არ არსებობს, თუმცა გამოიყოფა რამდენიმე დიდი ტერიტორია. მაგალითად- სამსონი, იგივე გუშ-დანი, ცენტრალური სანაპირო რეგიონია იერუსალიმის მთებსა და სანაპიროს შორის, რიშონ ლე-ციონისა და რეხოვათის ზეგნების ჩათვლით. აქაური ნიადაგები თიხიანია.



გალილეა, ჩრდილო რეგიონი, ყველაზე შესაფერისი ადგილია მეღვინეობისთვის - გრილი კლიმატი, სიმაღლე, ნაყოფიერი, მძიმე, მშრალი და ბაზალტოვანი ნიადაგები. რეგიონი იყოფა ქვემო და ზემო გალილეად, თაბორის მთად და გოლანის მაღლობებად.

სამარია ხაიფი სამხრეთით, ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. აქ განფენილია ყველაზე დიდი ვენახები, მათ შორის, კარმელ მიზრახის მიწები. ხმელთაშუა ზღვის ქარები და კარმელის მთათა ჯაჭვი უხვმოსავლიანობას განაპირობებს.

იუდეის მთების რეგიონი გარს ერტყმის თვით იერუსალიმს (იუდეისა და სამარიის ჩათვლით), გააჩნია იდეალური სიმაღლე, ოპტიმალური კლიმატი და თიხიან-კირქვიანი ნიადაგი. ის ტკბილი ღვინოებითაა ცნობილი; თუმცა ბოლოხანს მაღალხარისხოვან ღვინოს აწარმოებს.

ნეჰევი ნახევარუდაბნოა; 10 წლის წინ ვერავინ იფიქრებდა, რომ აქაურობა მეღვინეობის მოწინავე რეგიონად იქცეოდა, რაც ირიგაციის სისტემამ შესაძლებელი გახადა.

ისრაელში ვენახების ფართობი არც ისე დიდია - 5500 ჰექტარი. კლიმატი ძირითადად ხმელთაშუაზღვიურია, ხანგრძლივი ცხელი ზაფხულითა და ხანმოკლე ზამთრით. ისტორიული ავტოქთონური ჯიშები, თურქეთისა თუ ლიბანისაგან განსხვავებით, არ შემონახულა. რთველი აქ აგვისტოდან იწყება და ოქტომბრის დასაწყისამდე გრძელდება. ყურძენს ბევრ ვენახში ხელით კრეფენ. მოსავლის საუკეთესო წლებია: 2014; 2013; 2012; 2008; 2005; 2004; 2003; 2000; 1997; 1995; 1993; 1990;1989; 1985; 1979; 1976.

ყურძნის ჯიშები ისრაელში ტრადიციული ჯიშებისგან (კარიგნანი (შეადგენს მთლიანი წარმოების 17%-ს) და კოლმბარდი (4%)) იწარმოება იაფფასიანი ღვინო, თუმცა ის ჩაანაცვლა კაბერნე სოვინიონმა - 18%, მერლომ - 13%, შარდონემ - 3%, სოვინიონ ბლანმა - 2%, პეტიტ ვერდომ - 5%, შირაზმა - 7%, ალექსანდრიის მუსკატმა - 4% და ა. შ.

თუ ზოგად სურათს გადავხედავთ, თანამედროვე ტრენდების გვერდით შეხვდებით ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებების ბორდოულ და ხმელთაშუა ზღვის ჯიშებს, ექსპერიმენტულ ნაწარმს; ახალი ჯიშების ძიებას, რომლებიც შემდგომში თვით იდენტიფიცირებისთვის შეიძლება გამოიყენონ. გვხვდება ღვინოები, რომლებიც დამზადებულია მუსკატ კანელის, თეთრი რისლინგის, პინო ნუარის, ტემპრალინოს, ბარბერას, ნებიოლოსა და სხვა ჯიშებისაგან.

ისრაელის ღვინის ბაზრის წლიური ბრუნვის 20 პროცენტი იმპორტზე მოდის. ეს ძირითადად იტალიური, ჩილეური, არგენტინული და ფრანგული ღვინოებია. ერთი მოსახლე საშუალოდ 5 ლიტრ ღვინოს მიირთმევს, თუმცა მშრალი ღვინოებისადმი ინტერესი დღითი დღე მატულობს. მოხმარებული ღვინის 63 პროცენტი წითელია, 16 - თეთრი, 8 - შუშხუნა, 2 - ვარდისფერი, 11 - მუსკატის ტიპის, ტკბილი, სადესერტო.

2011 წელს 5 კონტინენტზე, 30-ზე მეტ ქვეყანაში ისრაელის ღვინის ექსპორტმა 40 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ათი წლის წინ ეს ციფრი მხოლოდ 8 მლნ-ს უდრიდა. უმთავრესი საექსპორტო ქვეყნებია: აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, პოლონეთი, გერმანია, ჰოლანდია.

ქაშერული ღვინის წარმოებისას გარკვეული წესების დაცვა აუცილებელია: მას მხოლოდ მორწმუნე, შაბათის დამცველი ებრაელები აყენებენ; არ გამოიყენება ცხოველური ინგრედიენტები, ვაზის ჩაყრიდან სამი წლის განმავლობაში არ იჭმება მოსავალი, არამორწმუნე არ უნდა მიეკაროს საწნახელსა და ღვინის კასრსაც კი. ქაშერული შეიძლება იყოს არა მხოლოდ ტკბილი, არამედ მშრალი ღვინოებიც. და კიდევ, ასეთი ღვინოების წარმოება არაქაშერულ ღვინის ქარხნებშიც შეიძლება.

ერთი სიტყვით, ბოლო წლებში ისრაელის ღვინის წარმოებაში ნამდვილი რევოლუცია მოხდა. მეღვინეობამ საზოგადოებრივი რეზონანსი შეიძინა. ის დღეს ისრაელელთა ეროვნული სიამაყის საგანია. მსოფლიო პრაქტიკა მრავალგზის ამტკიცებს, რომ მონდომებას და მუხლჩაუხრელ შრომას, მართლაც სასწაულის მოხდენა შეუძლია.

ნანა ჯაფარიძე

## თარიღი კალენდრის ფურცელზე

### აპრილში...

გაზაფხულის შუათანა თვე ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი თვეა, ბუნება ილვიძებს და ადამიანს ხალისით ავსებს. აპრილი მათთვის უფრო ძვირფასია, ვინც წლის კალენდარულად მეოთხე თვეშია დაბადებული.

მოდით, ერთად გადავავლოთ თვალი კალენდარს:

პირველ აპრილს დაიბადა ცნობილი მოჭიდავე ზურაბ ბახტაძე (1954) – საქართველოს აბსოლუტური პირველობის ვიცე-ფალავანი (1974);

6 აპრილს 19 წლისა შესრულდა რობინზონ ბეგლარაშვილი (1998) – ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის "თბილისი–2015"-ის გამარჯვებული, ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ჭაბუკი ძიუდოისტი საქართველოში;

12 აპრილს დაბადებიდან 62-ე წელი შეუსრულდა ოთარ ყურაშვილს – საქართველოს 2-2-გზის ფალავანსა (1973, 1975) და მესამე პრიზიორს (1976, 1977), ამჟამად ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტსა და ექსტრაკლასის მსაჯს სამბოში;

14 აპრილს დაიბადა ვეფხვია რაზმაძე (1960) – ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მოჭიდავე სოფელ ლამისყანიდან;

21 აპრილს "ოქროს დაბადების დღე" აღნიშნა გიორგი კაციაშვილმა (1996) – პირველმა კასპელმა მოჭიდავემ, ვინც ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე გაიმარჯვა 2013 წელს ქ. უტრეხტში (ჰოლანდია) ძიუდოში, ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი გამარჯვების შემოქმედმა აბსოლუტური ფალავნობის გათამაშების ისტორიაში (2016);

27 აპრილსაა დაბადებული ჯაბა პაპინაშვილი (1998) – 19 წლის ჭაბუკი ქართული ძიუდოს "ახალი ტალღის" იმედისმომცემი წარმომადგენელია, უფროსი ძმის დარად სამომავლო ოლიმპიადებისათვის შეგულებული...

## 17-ში 60 წელი შეუსრულდებოდა...

17 აპრილს საქართველოში მიცვალებულთა მოხსენიების დღე აღინიშნა. მეგობრებმა, ნაცნობებმა, ახლობლებმა ამ დღეს ხსოვნის პატივი მიაგეს ელგუჯა გეჯაძეს – კაცურ კაცს, შეჭირვებულთა თანამდგომს, მოყვასის ჭირისა და ლხინის მონაწილეს, ქართველი ვაჟკაცის ეტალონს, ჭიდაობის ჭეშმარიტ რაინდს... იგი 2016 წლის იანვარში ტრაგიკულად დაიღუპა, როცა 59 წლის შესრულებამდე სამიოდე თვე აკლდა... ამდენად, 2017 წლის 17 აპრილს მას მრგვალი თარიღი შეუსრულდებოდა... ვაგლახ, 60 წლისა ველარ მოიყარა...

## სოხუმში, 40 წლის წინ

შავიზღვისპირა ეს ქალაქი ბევრი ქართველისათვის – ვინც იქ დაიბადა და გაიზარდა, ანდა ერთხელ მაინც ყოფილა სოხუმში – დღეს ნატვრის ქალაქია. დროის გადასახედიდან, პოლიტიკურ-საომარი კატაკლიზმებიდან გამომდინარე, სოხუმი წაგვართვეს და ჩვენს გულებში ხსოვნის ნათელ სვეტად დარჩა...

1977 წლის მარტში ქ. სოხუმში გაიმართა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა 1960-61 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის (თავისუფალ ჭიდაობაში). ჩვენი რაიონიდან წარგზავნილებმა, საერთო ჩათვლაში, პრიზიორთა სამეულის მომდევნო ადგილი დაიკავეს. აი, პირად სათვალავში კი ტოლ-სწორი არ აღმოაჩნდათ თემურ გაბოძესა და შოთა კაციაშვილს: მათ 8-8 მეტოქე ისე დაამარცხეს, რომ არც ერთი (!) საჯარიმო ქულა არ მიუღიათ (ე.ი. ყველა შეხვედრაში "სუფთაზე" გაიმარჯვეს!).

ამჟამად თ. გაბოძე მწვრთნელად მუშაობს კასპის ჭიდაობის სპეციალიზებულ სკოლაში. ნეტა, ეს ამბავი თუ ახსოვს და როდისმე უამბნია თავისი შეგირდებისათვის? შ. კაციაშვილი კი, როგორც შემდგარი მოჭიდავე და პერსპექტიული მწვრთნელი, ახალგაზრდულ ასაკში გამოეთხოვა სამზეოს, 1986 წლის 23 აპრილს ტრაგიკულად დაიღუპა 29 წლის ასაკში ... ნათელი ჰქონებოდეს მის ხსოვნას!

## სპორტული კალეიდოსკოპი

### ძმა ძმისთვისაო, ორივე ევრო-პისთვისაო...

20 აპრილს ქ. ვარშავაში (პოლონეთი), ევროპის პირველობის პირველივე დღეს, საჩემპიონო ტიტული ვერ დაიცვა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების საწყისი წონის (60 კგ.) ლიდერმა ამირან პაპინაშვილმა – იგი ნახევარფინალში დამარცხდა ბულგარელ გერჩევთან, შემდეგ კი ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსიც დაკარგა აზერბაიჯანელ საფაროვთან.

საინტერესოა, რომ სულ რამდენიმე დღით ადრე, 16 აპრილს, ქ. სანკტ-პეტერბურგში (რუსეთი), ასევე, ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში იჭიდავა ამირანის უმცროსმა ძმამ – ჯაბამ. მან მხოლოდ ფინალურ ორთაბრძოლაში წაიფორხილა და "მსოფლიო თასის" გათამაშების წარმომადგენლობითი ტურნირის მეორე პრიზიორი გახდა. ამით უმცროსმა პაპინაშვილმა რეალური შანსი დაიბევა საევროპო პირველობისათვის, ოღონდ ესოდენი პრეტენზია კიდევ ერთ შესარჩევ ტურნირზე უნდა დაიცვას, რომლის ჩატარება თბილისშია დაგეგმილი.

## ამირანების ქვეყანაში...

საქართველოში დევებთან მორკინალ-შემჭიდებელ მზეჭაბუკთა ქვეყანაში, ჩვენი ძველები თავიანთ პირმშოს უფრო ხშირად არქმევდნენ ამირანს, ვიდრე დღევანდელობაში. თქვენი არ ვიცი და ავტორს კი ჰგონია, რომ კასპელ მოჭიდავეთა შორის ეს სახელი ყველაზე გავრცელებულია. აი, განსაჯეთ, ვის უამირანია და ვინ ახლაც ამირანობს ჩვენში: ამირან ობგაიძე – ევროპის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ძიუდოში; ამირან ვარდოშვილი – საქართველოს აბსოლუტური ფალავანი (1958) და მესამე პრიზიორი (1960); ამირან იანვარაშვილი, ამირან პაპინაშვილი, ამირან გერმანოზაშვილი, ამირან მაღალაშვილი და ამირან პატარქალაშვილი – გასული საუკუნის შუა და მიწურული ათწლეულების სახელოვანი მოჭიდავეები... და მათი მემკვიდრეები, ანუ პაპების სეხნიები: ამირან პაპინაშვილი – ევროპის ექსჩემპიონი, მსოფლიო პრიზიორი და საზაფხულო ოლიმპიადის მეხუთეადგილოსანი; ამირან იანვარაშვილი – ქართული ჭიდაობის ოსტატი.

(ძვირფასო მკითხველო, იქნებ, თქვენც შემოგვაშველოთ სხვათა ვინაობა ამ ჩამონათვალისათვის).

ამ დღეებში სოფელ იგოეთში შევეხმიანეთ ბატონ ამირან ობგაიძეს, რომელსაც წლევანდელ შუა სექტემბერში "ნახევრადმრგვალი" საიუბილეო თარიღი – 65 წლისთავი – უსრულდება!

... მეოცე საუკუნის 70-იან წლებში მისი გვარი ფიგურირებდა ძიუდოს სამყაროში საყოველთაოდ ცნობილი ქართველი მოჭიდავეების გვერდით. გავიხსენებთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს:

1977 წელს (ანუ – 40 წლის წინ...) ქ. თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულებმა – ამირან ობგაიძემ და ჯიბილო ნიჟარაძემ – ეს ტიტული მეორედ მოიპოვეს! მათ ეს პირველად მოახერხეს 1975 წელს, როცა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირის – მსოფლიო თასის გათამაშების – 6 წონითი კატეგორიიდან 5-ში გამარჯვებული გახდა მასპინძელი: ამირან ობგაიძე, აბდულა ბარკალაევი, რამაზ ხარშილაძე, ჯიბილო ნიჟარაძე და შოთა ჩოჩიშვილი... შუალედში, 1976 წელს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი შეიქნა საბჭოთა კავშირის თასის პირველი მფლობელი და მაშინ ოქროს მედლები გადაეცათ: ამირან ობგაიძეს, ოლეგ ზურაბიანს, დავით ბერძენიშვილს, ბერდია გუგავას, აბესალომ წიკლაურს, გურამ გოგოლაურს, ბორის გოგიჩაიშვილს, ნოდარ ნუგზარიშვილსა და ჯიბილო ნიჟარაძეს (ჭიდაობის ძველ გულშემატკივრებს ამ შემადგენლობიდან კიდევ ორი კასპელის ამოცნობა არ უნდა გაუჭირდეს).

პირადული სპორტული მიღწევები: საკავშირო პირველობათა 2-გზის მესამე პრიზიორი (1974, რიგა და 1976, მოსკოვი), საკავშირო ხალხთა მეექვსე სპარტაკიადის ჩემპიონი (გუნდურ ჩათვლაში, 1975, მოსკოვი), ევროპის ჩემპიონი (გუნდურში, 1977, გერმანია). თბილისის საერთაშორისო ტურნირების 2-გზის ჩემპიონს (იხ.. ზემოთ), ასევე, პირად კოლექციაში აქვს ვერცხლისა (1976) და ბრინჯაოს (1979) მედლები. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა 1975 წელს (საინტერესოა, რომ ამავე წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი)...

ამირან ობგაიძის ორი საევროპო შეჯიბრების მედალი გამოფენილია საქართველოს სპორტის მუზეუმის ექსპონატებში (თბილისში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შენობის პირველ სართულზე). ჯილდოები როგორ მოხვდა იქ, ამ და სხვა საინტერესო ამბების მოყოლას ბატონი ამირანი სასექტემბროდ დაგვპირდა. ძველ ოსტატს ბევრი რამ აქვს გასახსენებელი... ისე, აღარც სექტემბერია შორს. მაშ, მომავალ შეხვედრამდე, ჩემპიონო!

## ახალი საკალათბურთო დარბაზი



რაიონის სპორტის მატიანეში ახალი თარიღი დაფიქსირდა – 2017 წლის 28 მარტი: ამ დღეს ჩვენს ქალაქში საზეიმო ვითარებაში ოფიციალურად გაიხსნა სპორტული კომპლექსის ერთ-ერთი უდიდესი ობიექტი – თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აგებული-აღჭურვილი საკალათბურთო დარბაზი!

კასპში კალათბურთი პოპულარობით ჩამორჩება ჭიდაობასა და ფეხბურთს და იგი საბავშვო-სასკოლო თამაშის დონეზეა უმეტესად, თუმცა იყო წლები, როცა აქაურმა ვაჟთა და ქალთა გუნდებმა რესპუბლიკური მასშტაბითაც მოსინჯეს შესაძლებლობები (პროფესიულმა კლუბმა "ნოსტემ" პირველი ლიგის ჩემპიონატში ითამაშა)...

ახალი დარბაზი ახალ პერსპექტივასა და იმედებს სახავს კასპელი მწვრთნელებისა და კალათბურთზე შეყვარებული ახალგაზრდების გულში. კასპელი მწვრთნელი მიხეილ მაკეიჩევი ის კაცია, ვინც, აგერ, 40 წელია, ამ თამაშის პოპულარობაზე ზრუნავს. ის კასპური კალათბურთის მემატიანე და ამაგდარია (მასთან საუბარი-ინტერვიუ სამაისო გვერდში იგეგმება)... დარბაზის გახსნის ზეიმზე პირველი თამაშის პატივი სწორედ მის და ახალქალაქელი მწვრთნელის ტარიელ აზმაიფარაშვილის შეგირდებს ერგოთ.

**კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.**

ნინო მოდრეკილაძე

## მივედითო, ბრძანა მღვდელმა...

"ხოლო მან, ნეტარმან ხუცესმან, აღირჩია სიკვდილი, ვიდრე განცემა მეფისა და გაწირვა საქართველოისა"

შესდგომია აღმართს - აღმართ,
ჩქარი ნაბიჯებით,
მოძღვარს მძიმე ფიქრად, დარდად
გულზე მარწუხები...
ადევს, როგორც მზით და ქარით,
დაშაშრული ლოდი,
უკან მისდევს მტრის ლაშქარი
ცეცხლის შავი ბოლით.
ცხირეთისკენ, თევდორეო,
მოვიტყუოთ კველთა,
აკანკალებს, გეგონება
დაეგესლოთ გველთა...
ანაფორას ივნისის მზე
შუქად ადგას კვართის,
დასავლეთის ციცაბოებს
შორს ჩამორჩათ ქართლი...
მღვდელი მეფის შარავანდედს
ხედავს გულით, წმინდას,
ჯერ ადრეა, ნუ გადარდებს,
ლოცავს სულიწმინდა...
ღმერთთან მეფე ლუარსაბსო
შენ, მიასწრებ, ხუცეს,
მღვდელი გახდა უასაკო,
გული ყელში უცემს.
სულ ცოტაც და მივედითო,
სიხარულით გარბის,
მტერს თევდორე ეჩვენება
ვერცხლეულზე ხარბი.
დასცინიან, - "ეს საბრალო,
გვიპოვია სწორად",
მაგრამ გზასა იწროსა და
გრძელგასავლელ კლდოვანს...
როს მრავალნი მოლაშქრენი
ფოთოლივით მოსწყდნენ,
მიხვდნენ, რიხით მიმავლები
გაუვალს რომ მოსდგნენ.
ორად გაყო ზეცა ელვამ,
უვარსკვლავო ღამის,
მივედითო, ბრძანა მღვდელმა,
ჩემს ღმერთამდე ლამის...
სული სხეულს აესვეტა
თითქოს ჯავშნად იქცა,
უტკივილოდ დაეხეთქა,
დაესვენა მიწას...
მივედითო! — ბრძანა მღვდელმა,
აელვარდა ხმალი,
მივედითო! — და განიხვნა
ზეცის ყველა კარი!

**კონცერტ-ფესტივალი**

## „სხვილო„ – სანიმუშო საბავშვო სახალხო ანსამბლი



საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის ორგანიზებით ქალაქ თბილისში ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტ-ფესტივალი... ფესტივალის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით ღონისძიებაზე მიწვეული იყო ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებული ყველასათვის კარგად ცნობილი და აღიარებული ქორეოგრაფიული ანსამბლი "სხვილო-სხვილელნი", რომელსაც ხელმძღვანელობს ნინო პავლიაშვილი. სწორედ მისი ძალისხმევითა და დიდი მცდელობით ანსამბლმა მრავალ წარმატებას მიაღწია. ანსამბლი არაერთ პრესტიჟულ ფესტივალზე გამოვიდა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისათვის სათანადო ჯილდოებიც დაიმსახურა.

კონკურს-ფესტივალში მონაწილეობდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოწვეული ქორეოგრაფიული კოლექტივები, მოცეკვავეები და შემსრულებლები. ქვემოჭალელმა მოცეკვავეებმა ფესტივალზე წარადგინეს სამი ცეკვა: "აჭარული-სუიტა", "მთიელ ქალთა" ცეკვა და "მოხეური".

— რასაკვირველია, ეს არ იყო ჩვენი პირველი კონცერტი დედაქალაქში, ანსამბლს სხვა დროსაც ბევრჯერ მოუხიბლავს თბილისელი მაყურებელი, მაგრამ ამჟამინდელ გამოსვლას ფესტივალზე სულ სხვა ხიბლი ახლდა, — განაცხადა ქორეოგრაფმა ნინო პავლიაშვილმა, — იყო დიდი ოვაციები, ხანგრძლივი ტაში და აპლოდისმენტები. ყველაზე მთავარი კი, ის გახლავთ, რომ კონცერტის ბოლოს საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარემ ბატონმა რეზო ჭანიშვილმა ანსამბლი "სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის" წოდებით და დიპლომით დააჯილდოვა, ხოლო მოცეკვავეებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ დიპლომები.

ანსამბლ "სხვილოს" წევრები და მათი მშობლები, ქვემო ჭალის კულტურის სახლის (დირექტორი მარინე ყარანაშვილი) ხელმძღვანელობა მუდამ გრძნობს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის აქტიურ დახმარებასა და თანადგომას, აი, ახლაც მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით მოხერხდა მოცეკვავეების ფესტივალზე გამგზავრება.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

**შეუცნობელის კვალდაკვალ**

## აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი

**გამოგვეხმაურეთ, დაგვიკავშირდით**

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი



ემოცია, შთაბეჭდილება.

მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი." საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ „ფენომენს„ და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს. ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავიგოთ მეტი. ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.



## თქვენთვის საინტერესო თემებზე

კარგა ხანია ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სცალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და მალულ საგანძურზე... წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოიწეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმოწერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს გამოგვეხმაურეთ!

„კეხურა„



## გილოცავთ

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხანდაკის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღვაწლმოსილ პედაგოგს ომარ სიმონიშვილს ულოცავს 75 წლის იუბილეს.

ბატონო ომარ, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.



შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

ოთხმოცდამეექვსე წელია ჩვენი გაზეთი იწერს, აგროვებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარკს არ უხდის ყვითელ პრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეულამაზებელ მატიანეს...

**გამოიწერეთ „ახალი განთიადი“**

## ფოტო-მატიანე

„ახალი განთიადი“ ეძებს საინტერესო ისტორიებს რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო და სახალისო ფოტოები!





რუბრიკა – წელიწადის მეხუთე დრო ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გააცანით ისინი საზოგადოებას.

ბავშვობაში ნათქვამი “ფრთიანი ფრაზები” მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ “ოქროს ფონდში,” თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობი არიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში “მაკნატუნა” და გახდით რუბრიკის სტუმარი

გამოიწერეთ “ახალი განთიადი” და გახდით ჩვენი მკითხველი!

მკითხველს შეუძლია მოგვაწოდოს საავტორო შემეცნებით-გასართობი მასალები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, სააკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 0371222576.

## გამოგვეხმაურეთ!








შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.











გამოგვეხმაუ

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76